ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2966592

ნომერი: AR1455117

თარიღი : 09.11.2016

გაცემის თარიღი : 06.12.2016

გაცნობის თარიღი : 06.12.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი გულია , კულტსამეურნეო საქონლის მაღაზიის მიმდებარედ, (ნაკვ. 8/85) / ქალაქი თბილისი , მდინარე მტკვრის, გულიას ქუჩასა და ახალ მაგისტრალს შორის.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი გამყრელიძე პ/ნ 01009016937
- თბილისი. ზ. ფალიაშვილის ქ 39 ბ19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 19/07/2016 წლის №2720177 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

09/11/2016 წლის №AR1455117 განცხადებით მომართა ირაკლი გამყრელიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 19/07/2016 №2720177 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 19/07/2016 №2720177 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი – კრწანისი, მოედანი გულია, კულტსამეურნეო საქონლის მაღაზიის მიმდებარედ, (ნაკვ. 8/85) / ქალაქი თბილისი, მდინარე მტკვრის, გულიას ქუჩასა და ახალ მაგისტრალს შორის, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №01.18.05.008.140) შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
წინამდებარე განაცხადით, მოთხოვნილია სამსახურის 19/07/2016 წლის №2720177 ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებში ტექნიკური ხარვეზის გასწორება და წარმოდგენილია გასწორებული მაჩვენებლები, ასევე +0.000 ნიშნულის გასწორებული საპროექტო გეგმა. განმცხადებლის განმარტებით, 19/07/2016 წლის №2720177 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში უნდა დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:8509.65; საოფისე ფართობი (კვ.მ).:1446,69; კომერციული ფართობი (კვ.მ).:754.23; საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:2017.96; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).:1928.77; დამხმარე ფართობი (კვ.მ).:161.70; საერთო ფართობი(კვ.მ).: 17111.61;
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია, რის შედეგადაც მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა, გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, ასევე ჩაანაცვლოს +0.000 ნიშნულის საპროექტო გეგმა განმცხადებლის მიერ 09/11/2016 წლის №AR1455117 განცხადებით წარმოდგენილი იმავე ნიშნულის საპროექტო გეგმით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 19/07/2016 წლის №2720177 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:8509.65; საოფისე ფართობი (კვ.მ).:1446,69; კომერციული ფართობი (კვ.მ).:754.23; საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:2017.96; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).:1928.77; დამხმარე ფართობი (კვ.მ).:161.70; საერთო ფართობი(კვ.მ).: 17111.61;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 19/07/2016 წლის №2720177 ბრძანებით შეთანხმებული +0.000 ნიშნულის საპროექტო გეგმა ჩანაცვლდეს განმცხადებლის მიერ 09/11/2016 წლის №AR1455117 განცხადებით წარმოდგენილი იმავე ნიშნულის საპროექტო გეგმით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 19/07/2016 წლის №2720177 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 19/07/2016 წლის №2720177 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.